



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,  
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება N8/ნ

14 თებერვალი 2023 წ.

ქ. თბილისი

ფარმაცევტული პროდუქტის რეფერენტული ფასების კონტროლის ფარგლებში  
გამოსაყენებელი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსებისა და  
წარდგენის წესის, სააღსრულებო ფურცლის ფორმისა და სააღსრულებო ფურცლის ამოწერის  
წესის დამტკიცების შესახებ

„წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2  
პუნქტის „დ<sup>3</sup>“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

**მუხლი 1**

დამტკიცდეს, ფარმაცევტული პროდუქტის რეფერენტული ფასების კონტროლის  
ფარგლებში გამოსაყენებელი:

- ა) „ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი“ ფორმა (დანართი №1);
- ბ) „ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შევსებისა და წარდგენის წესი“  
(დანართი №2);
- გ) „სააღსრულებო ფურცელი“ ფორმა (დანართი №3);
- დ) „ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის ოქმით დაკისრებული ჯარიმის  
აღსრულება და სააღსრულებო ფურცლის ამოწერის წესი“ (დანართი №4).

**მუხლი 2**

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ოკუპირებული  
ტერიტორიებიდან დევნილთა,  
შრომის, ჯანმრთელობისა და  
სოციალური დაცვის მინისტრი

ზურაბ აზარაშვილი